საქართველოს დამოუკიდებლობა

L'INDÉPENDANCE GÉORGIENNE

ორგანო „ქართული ეროვნულიპოლიტიკური ცენტრისა უცხოეთში“.

დეკემბერი 1956 წ.

№ 9

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
133, rue de l'Abbé - Groult. Paris 15, R. Gabachvili

რა შეიცვალა!

პარიზი 5 დეკემბერი,

რუსეთი თავის ბოროტ ზრახვათა სისრულეში მოსაყვანათ ყოველთვის სარგებლობდა საერთაშორისო არევ დარევით. ეს ასე იყო პირველ საერთაშორისო ომის შემდეგ, როდესაც საქართველო და კავკასია დაიპყრო. ასე მოხდა მეორე საერთაშორისო ომის დროს და შემდეგ, როდესაც მან პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები დაიპყრო — მიუხედავათ იმისა, რომ 1920 წ. ივლისის საზავო ხელშეკრულებით მოსკოვმა **სამუდამოთ** ხელი აიღო ბალტიის ქვეყნების ტერიტორიაზედ. 1939 წ. ოქტომბერში, რიბენტროპთან ხელშეკრულობის დადების დროს მოლოტოვმა საზეიმოთ განაცხადა, რომ მოსკოვი სცნობდა ამ ქვეყენბის ხელშეუხებლობასა და სუკერენობას. სწორეთ ერთი წლის შემდეგ მან ეს პირობა დაარღვია და ბალტიის ქვეყნები გადმოთელა. ერის ცოცხალი და აქტიური ძალები მოსპო და გაანადგურა. ყოველ ქვეყნებში „კატინის“ სასაფლაოები გამართა. გერმანიის ოკუპაციას 41 წლიდან 44 მდე მათთვის არავითარი შემსუბუქება არ მოუტანია. 44 დან ის კვლავ საბჭოებმა გადმოთელეს და 11 წლის განმავლობაში შეუჩერებლივ ანადგურებენ და სპობენ ერის აქტიურ ძალებს, რომ სამუდამოთ ფიზიკურად გასტეხონ და სულიერად დაიმონონ. ამის მოწამე მთელი განათლებული კაცობრიობაა, რომლის მუდმივი მოკავშირე ეს ქვეყნები იყვნენ. მათ არავითარი რეალური დახმარება მათთვის არ გაუღიათ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ განათლებულ კაცობრიობამ, თავის ეგოისტური ინტერესები უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე თავის მოკავშირე ერთა ბედ-იღბალი. დღეს **უნგრიას ანადგურებენ.** არავინ მას არ ეშველება. დემონსტრაცია და პროტესტები, უგულო მტარვალში დაცინვასა და ღიმილს იწვევს. „დიდ ერთა კავშირი“ **(ო.ნ.უ)**, რომელზედაც ჩვენ ამოდენ იმედებს ვამყარებდით უმოქმედობითაა შეპყრობილი და უნგრიას, რუსებს ანადგურებინებენ. უნგრიაში, რომ სუეცის არხი ყოფილიყო **„მსოფლიოს ძლიერნი“** იარაღით წინ აღუდგებოდენ სლავიანურ ვეშაპს. იქ მათ პირდაპირი ინტერესები არა აქვთ... დღეს საკითხავია, რისთვის იყო დაარსებული „ერთა კავშირი“? ან რა მიზანს ემსახურება ის?.. სადაა გაერთიანებული ერთა ქარტია... რომლის გამოყენების საუკეთესო შემთხვევას (მუხლი 34) დღეს უკვე სისხლიდან დაცლილი უნგრია იძლევა? ის თვით ამ „ერთა კავშირმა“ ნაგლეჯ ქაღალდად აქცია.

დასავლეთმა თვალები უნდა გაახილოს: რუსული მესიანიზმი შეუღლებული კომუნიზმის მესიანურ ბუნებასთან, რომელიც აბსოლიუტური და ტოტალურია, მას წალეკვას უპირობს. მისთვის არავითარი საზღვარი არ არსებობს: მან უნდა **დაიპყროს ან უნდა დაიქცეს.** ეს მარქსისა და ლენინის იმპერიალისტური იდეა **ფიქსს**, რუსები სისტემატიურად და მეთოდიურად ანხორციელებენ მეორე საერთაშორისი ომიდან: „დაიპყრეს ჩინეთი, კორეა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი ინდოჩინეთი, ნახევარი გერმანია, ბულგარია, უნგრია, რუმინეთი, ლიტვა, ლატვია.. ხვალ შეიძლება ეგვიპტე და ინდოეთიც „განთავისუფლონ“.

„დესტალინიზაცია“ და „მშვიდობიანი თანაარსებობა“, მოსკოვის ანკესია, რომელზედაც დასავლეთი წამოეგო. ის მხოლოდ ტაქტიკა და საშუალებაა, რომ მოწინააღმდეგის სიფხიზლე მიეძინებინათ და ზიგ, დესპოტის სიკვდილის შემდეგ, შერყეული მდგომარეობა ხრუშჩოვებს გაემაგრებინათ. ცხადია ლიბერალიზმის თუნდაც პატარა დოზა, ადამიანის ღირსების იოტის ოდენა თავისუფლება, რომელიც ბუნებრივათ თავის განვითარების გზით წავიდოდა — მოსკოვის ჯალათებს ბოლოს მოუღებდა. ეს ხრუშჩოვებმა კარგად იციან — ამიტომ საბჭოთა რეჟიმი ყოველთვის დარჩება ტოტალიტარული და მუდამ ტირანია იქმნება გამეფებული. დასავლეთში ის ვინც, სამი წლის განმავლობაში „დესტალინიზაციის“ ილიუზიებით იკვებებოდა, დღეს აშკარა უნდა იყოს, რომ რუსული იმპერიალიზმი, რომლის **იარაღი კომუნისტური რეჟიმია,** ამ **იარაღზედ ხელს ვერ აიღებს,** რადგან მათი მიზანია: აზია და ევროპის პროგრესიული დაპყრობა.

ამ ათი წლის მანძილზედ მოსკოვმა ძირფესვიანათ შესცვალა ევროპა და აზიის პოლიტიკური რუქა. დღეს ის უკვე, ახდილათ ემუქრება იმ უდიდეს სიმაგრეს — აზია და აფრიკას — რომელიც დასავლეთის სიმაგრე და შარაგზებია. დღეს უკვე რუსულ იმპერიალიზმმა ყოველგვარი საზღვარი გადალახა. ყოველ ქვეყნის კუთხეში არევ დარევა შეიტანა და ყველას ინტერესებს დაუპირდაპირდა, კაცობრიობა მესამე საერთაშორისო ომის წინა სდგას და თუ დასავლეთმა დააგვიანა შეიძლება ბუდაპეშტის გაფრთხილება და პათეთიური ანდერძი ასრულდეს. სხვა გამოსავალი არაა: კართაგენი უნდა დაინგრეს. დაჩაგრული და სისხლიდან დაცლილი ერები უნდა აღსდგეს და კაცობრიობა განუწყვეტელ სისხლის ღვრისა და მუდმივ შიშიდან განთავისუფლდეს.

დღეს სიტყვა ეკუთვნით და სიტყვა გადამწყვეტი, სახელმწიფო ვაჟკაცებს, სახელმწიფო მამაკაცთ, რომ რუსულ იმპერიალიზმსა და ზოოლოგიურ ნაციონალიზმს ბოლო მოუღოს.

მოსკოვის ვერაგობა

უკანასკნელი დროის ყველაზე დიდი თუ არა, ყველაზე მნიშვნელოვანი ,თავისი მახლობელი და შორეული შედეგებით, პოლიტიკური ამბავი, — არის ნ. ხრუშჩოვის სიტყვა, წაკითხული, კ.პ.ს.ს.-ის მე-20-ე ყრილობაზედ, მოსკოვში.

გასაოცარი გულახდილობით, დაადასტურა და დაჰგმო სისხლიანი სტალინის ტირანიის ის ნახევარი, რომელიც ჩაუდენია მათი ამხანაგებისა და კუმუნისტურ პარტიის წინააღმდეგ; და თითქმის არაფერი სთქვა მეორე ნახევარზე, რომლის წყალობით სტალინმა და დღევანდელმა მისმა ალტერეგოებმა მილიონობით ამოსწყვიტეს გლეხობა ,მუშები, ინტელიგენცია, მხედრობა და ე.წ. ბურჟუაზია.

ეს ორივე ნახევარი კი, დიდი ხანია არა მარტო ჩვენ ვიცოდით, არამედ მთელმა ე.წ. თავისუფალმა მსოფლიომ და დემოკრატიამ.

მაშ რა მოხდა ისეთი ახალი და სენსაციური, რომ მთელი მსოფლიო და ყველა ენაზედ ალაპარაკდა, ხრუშჩოვის სიტყვა მილიონობით დაიბეჭდა, რადიო აყვირდა და მსოფლიოს მოეფინა? რა, და კიდევ ერთი „პლანეტარული სიცრუე“, რომლის მსგავსებით ჯერ სტალინი და ეხლა მისი დამქაშები ატყუებენ ქვეყანას!

მას აქეთ, რაც სტალინი ჩაუდგა სათავეში რუსეთს, მთელი მისი სტალინიზმი, ე.ი. დრო, ენერგია და პრაქტიკული მოქმედება მოხმარდა ჯერ რუსეთის გამოყვანას აღრევა-ქაოსიდან და შემდეგ რუსეთის იმპერიის არა მარტო აღდგენა - გაძლიერებას, არამედ გაფართოებასაც, მყვირალა კომუნიზმის კამუფლაჟის ქვეშ. ამით, არა მარტო ატყუებდა, არამედ დააჯერა კიდეც მტერი და მოყვარე რომ აშენებდა სოციალიზმს, კომუნიზმს; ყველა სახელმწიფოებში გაიჩინა ბრმად მიმდევარი კომუნისტური პარტიები — მეხუთე კალონები — და კაპიტალისტური ქვეყნების მთელი ყურადღება და ბრძოლაც ამ იდეოლოგიურ ასპარეზზე გადაატანინა; მაშინ როდესაც რკინის „ფარდის“ იქით, თვითონ აშენებდა უძლიერეს კაპიტალისტურ იმპერიას, შიეარაღებულს წყალქვეშა, წყლის ზედაპირის და საჰაერო ფლოტით, ტანკებით და ორასი დივიზიით. ფარაონების მსგავსად, მილიონობით მუშა და გლეხი უსასყიდლო ყმად აქცია და ქვეყანა დაამშია, — მძიმე ინდუსტრიალიზაციისა, ელექტროფიკაციისა და აუარება მადნეულის დამუშავებით, — სულ სამხედრო ძლიერების შესაქმნელად. ხუთი „ხუთწლედი“, ე.ი. 25 წელიწადი ამას მოანდომა. შიდა რუსეთს, ჯავშანივით შემოქალტულს არა-რუს დაპყრობილ ერებით, მეორე მსოფლიო ომის შ ე მ დ ე გ, — მეორე რკინის სალტა დაუმატა ას მილიონიან „სატელიტების“ სახით და უდიდესი კოლონიალური იმპერია შეჰქმნა.

ისე რომ, მის დღევანდელ მემკვიდრეებს სიკვდილის შემდეგ დაუტოვა თავით - ფეხებამდე შეიარაღებული სახელმწიფო, რომელიც ეტოლება არა მარტო დასუსტებულ ევროპას, არამედ გაძლიერებულ ამერიკასაც. ამ სახელმწიფო აპარატით, პოლიციით (ნ.კ.ვ.დ.), უძლიერესი ჯარით და ატომიური ყუმბარით აღჭურვილ რუსეთს, აღარ სჭირდება „კომუნიზმი“, როგორც საფარველი ჭურჭი და ხრუშჩოვ - ბულგანინები და მალენკოვ - შეპილოვები, —ნამდვილი რუსები — აღარც აფრიალებენ კარგა ხანია ამ ყალბ დროშას და ინდოეთ-ბირმანიიდან დაწყებით, ინგლისსა თუ სერბიაში, ეგვიპტესა თუ ამერიკაში ალაპარაკდნენ და ამოქმედდნენ ღიად და ახდილად, როგორც სახელმწიფო ხალხი და არა თავშეუდებელი „კომუნისტები“. ჟენევის „ღიმილები,“ ინდოეთ - ბირმანიისათვის ინდუსტრიალური დახმარების დაპირებანი, და ვაჭრობის გაძლიერება, პარიზისა და ინგლისის ბალეტები და ცირკები, ეგვიპტეში სამხედრო გემებისა, წყალქვეშა ნავებისა, ჰაეროპლანებისა და ტანკების გზავნა და დღევანდელ, სუეცის არხის კრიზისში არა მარტო ახდილი ჩარევა, არამედ „მოხალისე“ პილოტების გზავნა (რუსეთი და მოხალისე?!), ყველაფერ ამას არაფერი კავშირი არა აქვს „კომუნიზმის“ ქადაგებასთან, არამედ არის წმინდა წყლის (უკეთ, უწმინდურის!) იმპერიალისტურ - სახელმწიფოებრივი ჩარევა სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო პოლიტიკაში.

გასაოცარი სისულელე მსოფლიო პრესისა, რადიოსი და „სახელმწიფო მოღვაწეებისა“ იმაშია, რომ განაგრძობენ ბრძოლას „კომუნიზმთან“, რომელსაც საფუძვლები თითონ ხრუშჩოვებმა შეურყიეს, რასაკვირველია, და — მოულოდნელი შედეგებიცაა. მოსალოდნელი კიდევ ბევრი, — და რომ კომუნისტურ ბ ნ ე ლ ბ უ რ უ ს ი დ ან გამოიჩიკა (როგოც „ჩეკა“დან „ნ.კ.ვ.დ.). შიშველი რუსეთის იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, — ამას არამც თუ არავინ არ ებრძვის და ეწინააღმდეგება, არამედ სიტყვიერადაც არვინა ჰგმობს.

გასაოცარია მით უფრო, რომ მთელ რიგ „კონფერენციებზე“ და შემთხვევებში, რუსეთის წარმომადგენლები, სრულიად მოურიდებლად არა მარტო სიტყვით, არამედ, ასე ვსთქვათ, იარაღითაც ებრძვიან სხვათა იმპერიალიზმს და კოლონიალიზმს: ჯერ ბანდუნგში, საცა 29 აზია-აფრიკის სახელმწიფოს წარმომადგენელნი შეიყარნენ, — ყველამ დაჰგმო ინგლისის, საფრანგეთის და სხ. „იმპერიალისტური კოლონიალიზმი“ და მხოლოდ ცეილონის წარმომადგენელმა მორიდებით გაიხსენა რუსეთის იმპერიალისტური კოლონიალიზმი და ცეილონს მიემხრო მხოლოდ თურქი. შემდეგ

(გაგრძელება იხ. მე-ე გვ.)

ომი, რეჟიმი და ეკონომიკა

როდესაც ესა თუ ის ერი, ნებით თუ უნებლიეთ ომს იწვევდა, ეს ყოველთვის იყო ერისა და არა რომელიმე კლასის ინტერესებით ნაკარნახევი. ამიტომ სოციალისტური თეზა, რომ თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებს კაპიტალიზმი უდევს საფუძვლად, ყოველგვარ ნიადაგსაა მოკლებული. ყოველგან და ყოველთვის — ყველა ერის ცხოვრებაში პოლიტიკური და ეკონომიური რეჟიმი **საშუალებაა** ერის ფიზიკურ ძლიერების, მატერიალურ და სულიერ კულტურის და მის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების ასაღორძინებლად. მიზანი კი **ერია.** პრიმატი აქვს ერს და არა სოციალურსა და ეკონომიურ საკითხებს. რუსეთში სოც.-ეკონომიურ პრობლემებმა პრიმატი იმ დღიდან დაჰკარგა, რაც მარქსისტულ სოციალიზმის განხორციელების ცდებმა, ყველა ფრონტზედ მარცხი მარცხზედ განიცადა და ბოლშევიკური რეჟიმი ტერორის საშუალებით სასტიკ ტირანიად აქცია. ამ ტირანიის გარეშე, ბოლშევიკურ-მარქსისტული სოციალურ-ეკონომიური რეჟიმი დღემდე დაიმსხვრეოდა, რადგან ის ანტისოციალურია, რომელმაც რუსეთში და მის მიერ დაპყრობილ ერებში შიმშილი და სიკვდილი დათესა. მათ მიერ გადმოსროლილი „ჯადოსნური“ ლოზუნგი: „პროლეტარიატის სამშობლოს (ე.ი. რუსეთის) დასაცავად და მსოფლიო რევოლიუციისათვის,“ რომელიც უბრალო მომაკვდავთ თვალებს უხვევს, სინამდვილეში მათს ბოროტ იმპერიალისტურ მიზნებს ემსახურება. რამდენადაც კი შეუძლიათ მარქსიზმის იდეათა ექსპლუატაცია, მაქსიმალურად იყენებენ ველიკორუსულ იმპერიალისტურ მიზნებისათვის. მარქსიზმს ერი არა სწამს ამიტომ მარქსიზმის სახელით პატარა ერებს ანადგურებენ. მარქსიზმი იმპერიალისტურია—ეს იდეა სავსებით ემთხვევა ძველ და ახალ რუსეთის იმპერიალისტურ მისწრაფებებს. მარქსისტთათვის რეჟიმი ყველაფერია — ამ რეჟიმის სახელით, მსოფლიოში პროპაგანდას ეწევიან ,რომელიც მათ ეროვნულ ინტერესებს ემსახურება და თუ რომელიმე ქვეყანაში ცეცხლით და მახვილით ეს რეჟიმი „დაამყარეს“ ის რუსეთის იმპერიალიზმის მსხვერპლი უნდა გახდეს. იუგოსლავიაში ბოლშევიკური **რეჟიმი** დაამყარა ტიტომ რუსების „დახმარებით,“ მაგრამ რუსეთის მონობაზედ უარი სთქვა, და მიუხედავად ერთი და იგივე რეჟიმისა რუსეთმა მას ბრძოლა გამოუცხადა და თითქმის ომამდე მივიდა საქმე. აქ ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ „თურმე“ **რეჟიმზედ მაღლა ეროვნული ინტერესები მდგარა?** ალბად ეს „ეროვნულ საბჭოსათვისაც“ ცხადია, მაგრამ „ეროვნული საბჭო“ მაინც რუსეთში **რეჟიმის** შესაცვლელად იბრძვის. რუსეთში! სადაა აქ საქართველო?

საიდან მოდის ასეთი ყალბი შეხედულება, რომ რეჟიმის საკითხს და არა ეროვნულს, აქვს ასეთი უპირატესობა მინიჭებული და რას გულისხმობს ის? ეს შეხედულება წმინდა მარქსისტულია, სადაც **რეჟიმი** ყველაფერია და ყველაფერს სწყვეტს. მათთვის ეროვნული საკითხი წაშლილია. მის ადგილს იჭერს იდეოლოგია და რეჟიმის საკითხი. ჩვენ რომ მარქსისტებს დაუჯეროთ, მთელი კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის ნიადაგზედაა შექმნილი და მისი გადამწყვეტი ფაქტორი ეკონომიკაა. საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა, ბაზაა, საძირკველია, დანარჩენი კი —იურიდიული, ,პოლიტიკური, მორალური და კაცობრიობის გონებრივი ცხოვრება — ზედნაშენია. ყველაფერი ეკონომიკაა. მხოლოდ ისაა წყარო კაცობრიობის ბედნიერებისა და უბედურების და ურყევად აღიარებულია სოციალური პრიმატი ისტორიაში; აქედან: ბრძოლა უპირველეს ყოვლისა **რეჟიმისათვის** და არა **ეროვნულ თავისუფლებისათვის.** ბრძოლა კაპიტალიზმთან, რომელიც „მიზეზია არა მარტო შინაურ სოციალურ ომების, არამედ გარეშე ომთა მუდმივი გამომწვევია.“ ეს ხომ მარქსისტულ მწერლობისა და აზროვნების ერთ ერთი შეყვარებული თემათაგანია. გავარჩიოთ ეს ორი მარქსისტული თეზა, რომელიც მათ, აგრე აშკარათ, ეროვნულ კონცეპციის დაბალ საფეხურზედ აყენებს.

თუ ჩვენ ისტორიას თვალს გადავავლებთ და ვისაც მომხდარ ფაქტების შეფასების უნარი აქვს, ჩვენ დავინახავთ, რომ თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებს კაპიტალიზმი არ უდევს საფუძვლად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კაპიტალისტურ სისტემამდე, რომლის არსებობა 18 საუკ. იწყება, ომი არ უნდა არსებულიყო. მაგრამ ისტორია გვეუბნება პირიქით: უფრო ხშირი ომები, სწორეთ კაპიტალისტურ ეპოქამდე ხდებოდა. ის იწყება შორეული დროიდან... კაენი და აბელიდან... ქვის საუკუნიდან, ქვის საუკუნის შემდეგ, ქვის იარაღი ლითონმა შესცვალა, შემდეგ ცულმა, თოფმა... და დღეს ატომიურ ბომბებმა. ამ ომებში**ინსტიქტი და დომინაციის წყურვილი** ყოველთვის თამაშობდა მთავარ როლს. გამარჯვებული ერი ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი უპირატესობა მოეპოვება: ჯერ სამხედრო, პოლიტიკური და შემდეგ ეკონომიური.

ისტორიას არ ახსოვს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის **რეჟიმს საერთაშორისო** ომი გამოეწვიოს. აუტანელი სოციალური პირობები ხშირად სამოქალაქო ომებს იწვევდნენ, რომელიც ყოველ ომზედ საშინელია, მაგრამ არასოდეს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ ომს და მის მომყოლ **რეჟიმს საერთაშორისო ომი არ გამოუწვევიათ.** ეს უდაოა. რადგან უწინარეს ყოვლისა ისტორია შექმნილია ერთა შორის ომებისაგან. ნაპოლეონის ომები, დაახლოვებით, კაპიტალისტურ ეპოქის დასაწყისში ხდებოდა და ყველამ იცის, რომ ეს ომები ეკონომიურ ინტერესებით არ იყო გამოწვეული. არც 1870 წლ. ომს ჰქონია ეკონომიური ხასიათი. მაშინ არც ნაპოლეონ მესამემ და არც ბისმარკმა არ იცოდა თუ ელზასში კალაქვა მოიპოებოდა. მაგრამ გერმანია იბრძოდა მის დასაპყრობად, რაც ბისმარკს მის სამხედრო შტაბმა მოახვია თავზედ და ის ყოველგვარ ეკონომიურ ხასიათს იყო მოკლებული.

უფრო დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს 14-სა და 39 წლ. საერთაშორისო ომები. ამ ომებს სრულიადაც არა აქვს რეჟიმთა ბრძოლის ხასიათი და არც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ეკონომიური, არამედ ის მისი ერთ მხარეთაგანი იყი და არა ამ ომთა გამომწვევი მიზეზები. 14 წლის ომი იმ დროის ეკონომიურ აღორძინების ეპოქაში მოხდა. საერთაშორისო ეკონომიური დამოკიდებულებანი სასურველზედ უკეთესი იყო. არც ინგლისი არც რუსეთი და არც გერმანია იმ დროს საერთაშორისო ბაზრის დასაპყრობად არ მიისწრაფოდა. მაშრა მოხდა? უბრალოთ, მოხუც ფრანსუა-ჟოზეფს მემკვიდრე არ მოეპოებოდა. ტახტზე უნდა ასულიყო მისი დისწული ფრანსუა ფერდინანდი — სლავიანოფილ მონარქიულ ტრიალისტურ ფედერაციის მომხრე, რომელიც ყოველგვარ საფუძველს აცლიდა სერბიის ირედენტიზმს. მის ტახტზედ ასვლას ხელს შეუშლიდა მხოლოდ მისი სიკვდილი. ამიტომ ის, სარაევოში მოკლულ იქმნა, ბელგრადში კარგათ გაწრთვნილ ტერორისტის მიერ: დანარჩენი ცნობილია. მაშასადამე 14 წლის ომი ატყდა პოლიტიკურ ნიადაგზედ და ის არ იყო გამოწვეული კაპიტალისტების მიერ — არც **ეკონომიურ** ნიადაგზედ და არც რეჟიმთა, რეჟიმის წინააღმდეგ.

უკანასკნელი საერთაშორისო ომი? სოციალისტურ ლიტერატურას რომ თვალი გადაავლოთ ან მათ რომ ჰკითხოთ, ის იყო ჰიტლერის რეჟიმის... და **კაპიტალისტთა** ინტერესებით გამოწვეული საერთაშორისო ეკონომიური კრიზისით. რა თქმა უნდა ეს ასე არაა, რადგან მსოფლიო **დიდი ეკონომიური კრიზისი 29 წელში დაიწყო, 36-ში გაქრა და 39-ში კაცობრიობამ ეკონომიურ აღორძინების პერიოდში ამოყო თავი.** ეს კრიზისი გერმანიაშიც გაქრა... რომელსაც ხელი შეუწყო ჰიტლერის შეიარაღების პოლიტიკამ, რომელსაც ფატალურად ომი უნდა გამოეწვია. მაგრამ უკანასკნელ ომის მიზეზი ჰიტლერი და მისი რეჟიმი არ ყოფილა, არამედ ვერსალის ზავის მიერ დაქუცმაცებულ და დარბეულ გერმანიას, რომლის ეროვნული თავმოყვარეობა და ღირსება შელახული იყო, მის აღსადგენად ბრძოლა და მუშაობა ჰიტლერამდე დაიწყო. ის სწორედ ვერსალის დიქტატიდან იწყება და მის მზადებას სოციალისტი შტრეიზემანი შეუდგა. რაც შეეხება სუდეტტებს და მათ ირედენტიზმს ის ჰიტლერზედ და 29 წლის ეკ. კრიზისზედ უფრო ძველია... ყოველგვარ ირედენტიზმის და სეპარატიზმის მიზეზია სურვილი მთლიანობისა და მისწრაფება ეროვნულ თავისუფლებისადმი. აბსურდია ადამიანმა ყველაფერი კუჭისა და ეკონომიური საზომით ახსნა და ზომო. გერმანიას, რომ ეკონომიური ინტერესებით ეხელმძღვანელა, მაშინ მას, პირიქით, ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის ხელი უნდა შეეწყო, რადგან ავსტრიის მაშინდელი სავაჭრო და ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულად დეფიციტური იყო და მეტისმეტად ამძიმებდა გერმანიის ეკონომიკას და მაშასადამე **სოციალურ მდგომარეობასაც** ,მაგრამ ის მან მაინც დაიპყრო. ან კიდევ: იტალია მზათ იყო ტრიესტისათვის სისხლი დაეღვარა, მიუხედავად იმისა, რომ ის იტალიის **ეკონომიურ და სოციალურ პირობებს ასუსტებს,** რომლის შენახვა მას ვენეცია და ფიუმე-სთან მილიონები უჯდება. მაგრამ დახეთ? ტრიესტში, ტიროლში, კარინთიაში და სარში **ეროვნულ აღტკინებამ,** პლებისიტის სახით აშკარათ დაგვიმტკიცა, რომ აქ გულმა, გრძნობამ და სამშობლოს სიყვარულმა გაიმარჯვა და არა კუჭმა, ეკონომიკამ თუ რეჟიმის საკითხმა. აქედან უდავო დასკვნაა: **ეროვნულ თავისუფლებისა და ტერიტორიალური პრობლემები უცვლელი რჩება მიუხედავათ „ეკონომიკისა“ და რეჟიმთა ცვალებადობის.** ეს აშკარაა. **რეჟიმი** ცვალებადია, წარმავალია, ერი კი რჩება...

ეკონომიური ფაქტორი ერისა და კაცობრიობის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობისაა, მაგრამ ის არ შეადგენს ცივილიზაციის მთავარ ელემენტს. ეს, რომ ასე არ იყოს, მაშინ ყველაზედ უფრო ცივილიზებული ერი ის იქმნებოდა, რომელიც ყველაზედ მეტსა სჭამს. დასაწყისში მატერიალურმა ინტერესებმა ადამიანი ადამიანს დაუკავშირა და თავი მოუყარა. იმავე მიზნით მგლები თავმოყრილნი ცხოვრობენ მგელთა ხროვაში. მაგრამ მგლებს ცივილიზაცია არ შეუქმნიათ. რამდენათ ერი ცივილიზებულია იმდენათ მისი სოც. ეკონომიური **რეჟიმი** გაუმჯობესებული და მაღალია.

ისტორიაში არ მოიპოება არც ერთი მაგალითი, რომ რომელიმე სახელმწიფოს **რეჟიმის** შესაცვლელად, რომელიმე სახელმწიფოსათვის ომი გამოეცხადებინოს. ეს ერის შინაური საქმეა. ომი ყოველთვის ხდებოდა **საგარეო და არა საშინაო პოლიტიკის ნიადაგზედ.** ომის თავიდან ასაცილებლად იკვრებოდა კავშირები. მაგრამ ხშირათ თვით ეს კავშირები იყო ომის მიზეზი. ეს კავშირები გრძნობითა და სიყვარულით კი არ იყვნენ გამოწვეული, არამედ **ანგარიშითა და ინტერესებით.** ერთი **რეჟიმი** უკავშირდებოდა მეორეს. ქრისტიანული სახელმწიფო მუსულმანურს. დემოკრატიული მონარქიულს. დემოკრატიული ინგლისი და ამერიკა, უკანასკნელ ომში დაუკავშირდა ყველაზედ საშინელ და სისხლიან დიქტატურას — ბოლშევიკურ **რეჟიმს, ერის ინტერესების კარნახის მიხედვით.** ესაა **რეჟიმთა** ბრძოლა?

ისტორიას არ ახსოვს რომელიმე ერს, თავის საკუთარი ეროვნული ინტერესები შეეწიროს **უცხო ერის რეჟიმის** ან თავის საკუთარ **რეჟიმის** შესაცვლელად. „საბჭოს“ მაგალითები შეუძლია აიღოს თვით რუსის ემიგრანტთაგან: როდესაც რუსეთის იმპერია უკანასკნელ ომის დროს დაშლის წინ იდგა, დიდმა მთავარმა დიმიტრი რომანოვმა ფრანგ ჟურნალისტ ჟან ფაიარ-ს განუცხადა: „რუსეთის **მთლიანობის** შესანარჩუნებლად მე სტალინის მომხრე ვარ“ო. მილიუკოვი კომსომოლში ეწერებოდა, ასევე კერენსკი, დანი და აბრამოვიჩი. მაშასადამე დაწყებული მონარქისტებიდან გათავებული კერენსკით, ყველამ იმპერიალისტურ რუსეთის ინტერესები მაღლა დაყენა და ირჩიეს საშინელი სისხლიანი რეჟიმი. ეს დღესაც ასეა და მომავალშიც **ასე იქმნება.** ამის შემდეგ, დღეს, რომელი პატრიოტი, რომელი პოლიტიკური დაჯგუფება — რომელიც საქართველოს **ინტეგრალურ** დამოუკიდებლობის და მის სუვერენობის აღსადგენად იბრძვის — მოინდომებს კავშირსა და გადანასკვას ამ რუსის იმპერიალისტურ ფსევდო - დემოკრატებთან თუ არა იგივე ფსევდო - „ეროვნული“... მერყევი და სულით გაორებული „საბჭო“?

მივმართოთ კიდევ ისტორიას. უკანასკნელი საერთაშორისო ომი, რომ კაცობრიობას თავიდან აეშორებინა, მიუნხენში ფაშისტურ **რეჟიმის** დიქტატორების — მუსოლინისა და ჰიტლერის წინაშე — დემოკრატიულ ინგლის-ევროპამ თავი დახარა და „სამშვიდობო ხელშეკრულობა დასდო.“ იქ რეჟიმზედ ერთი სიტყვაც არ თქმულა, და ჰიტლერი თავისუფლად განაგრძობდა ებრაელებისა და არა ნაცისტურ ელემენტების დევნას და საერთოდ ნაციონალ-სოციალისტურ შინაურ პოლიტიკას. მაშასადამე, გერმანიას ომი იმიტომ კი არ გამოუცხადეს რომ იქ დიქტატურა და ფაშისტური **რეჟიმი** არსებობდა, არამედ გერმანია პოლონეთს თავს დაესხა. მაშასადამე, ეს უკანასკნელი ომიც არ იყო ომი **რეჟიმთა** შორის, ფაშისტთა და არა ფაშისტთა, მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შორის. როდესაც ჰიტლერი თავს დაესხა რუსეთს, ეს იყო ექსპანსიისა და ეკონომიურ პრობლემის საკითხი. უკრაინის მიწა, პური და კავკასიის ნავთი. მაგრამ ეს ეკონომიური ინტერესი არ იყო კაპიტალისტთა და კაპიტალიზმის ინტერესები **არამედ მთელი** სახელმწიფოსი. ამისთვის არ ხდება **კლასთა ბრძოლა.** აქ ეკონომიკა წარმოადგენს მხოლოდ ერთ საშუალებათაგანს, რადგან მისი მიზანი სახელმწიფოს ძლიერებაა. სახელმწიფო, რომელიც ომს იწვევდა ყოველთვის მისი მიზანი იყო ეკონომიური სიძლიერე მოეპოებია და ის აუცილებელი სტრატეგიული პოზიციები, რომელიც მას უზრუნველ ჰყოფდა მომავალ ომისათვის — აქ კაპიტალიზმი არაფერ შუაშია.

მომავალში რა მოხდება ჩვენ არ ვიცით, დღემდე კი, მიუხედავად ყოველგვარ **რეჟიმისა,** ყოველი მოზარდი ერის მისწრაფება იყო, თავისი ტერიტორია გაედიდებინა და მოსახლეობა მიწა წყლით უზრუნველ ეყო. ამისთვის როგორც ეთნოლოგია გვასწავლის, ომი მოზარდი ერის წმინდა ბიოლოგიური ფუნქციაა თავის სიძლიერის გამოსახატავად, **გახვეული სხვა და სხვა იდეოლოგიურ ფორმებში** (გერმანიაში ნაც. სოც. იტალიაში ფაშიზმი, რუსეთში მარქსიზმი) მის საერთო კულტურულ დონისა და მდგომარეობის მიხედვით. მაშასადამე **იდეოლოგია** და **რეჟიმი** ახალი ამბავი არაა. ის ყოველთვის იყო მიზეზი, საფარი და საშუალება ერის ძირითად მიზნების განსახორციელებლად და არა პირიქით როგორც ეს „ეროვნულ(?) საბჭოს“ ჰგონია.

რეჟიმის და იდეოლოგიურ ომით დღეს ყურებს, რომ გვიჭედენ ის მხოლოდ ქურქია წინასწარ განსაზღვრულ და გამომუშავებულ მიზანთა განსახორციელებლად. ხვალ რომ ომი ატყდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ის არ იქმნება **ომი რეჟიმთა და იდეოლოგიათა, კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის,** არამედ **ორ უკანასკნელ დიდ მოქიშპეთა** — რუსეთსა და ამერიკას შორის, რომელთა საზღვრები **პატარა ერთა ნანგრევებზედ** ბერინგის სრუტესთან ერთი მეორეს ხვდებიან. ასეთია დღევანდელი მსოფლიოს სურათი, რომელიც ჩვენ გერმანიის **უპირობო** კაპიტულიაციამ მოგვცა.

სოციალისტებს ჰგონიათ, თუ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებში ერთი და იგივე, ერთნაირი სოციალურ - ეკონომიური რეჟიმი დამყარდა, ყოველგვარ საერთაშორისო კონფლიქტებს და ნაციონალურ ომებს ბოლო მოეღება. რომ ეს აბსურდია ამას აშკარათ ამტკიცებს მეცხრამეტე საუკუნიდან (უფრო ადრეც) და განსაკუთრებით ორი უკანასკნელი საერთაშორისო ომი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მეომარ სახელმწიფოში **ერთი და იგივე** სოციალურ-ეკონომიური — კაპიტალისტური რეჟიმი იყო გაბატონებული, **ომი სწორედ მათ შორის ხდებოდა.** დაუშვათ, რომ მსოფლიოში სოციალისტური რეჟიმი დამყარდა ან და მოხდა მსოფლიოს „სოვიეტიზაცია“, განა ამიტომ ნაციონალური ომები მათ შორის გამორიცხული იქმნება? რა თქმა უნდა არა. ამის ცოცხალი მაგალითი ნაციონალ - კომუნისტური იუგოსლავიაა. მაშასადამე ამა თუ იმ რეჟიმზედ — მარქსისტულია ის თუ ფაშისტური... მაღლა სდგას და არსებობს რაღაც სხვა: ეს არის ე რ ო ვ ნ უ ლ ი ინტერესები, ე რ ო ვ ნ უ ლ ი თავისუფლება და ღირსების შენარჩუნება. ეროვნული მეობა და სიამაყე. ეროვნული კულტურა და მისი სულიერი ცხოვრება — **აი ქართველი ერის იდეოლოგია და ჩვენი ყოფა ცხოვრებისა და ისტორიის პრიმატი,** და არა მარქსიზმი, რუსეთისა და ბელუჯისტანის დემოკრატია. ჩვენ ამ ქართულ იდეოლოგიისათვის ვიბრძვით. აი „პლატფორმა“ რომელიც ყოველ პატრიოტ ქართველს უნდა აერთიანებდეს და არა ეროვნულ დაქვეითებისა და დამცირების „საბჭო“თა „პლატფორმა, რომელიც რუსების პატრიოტებთან ერთად დღეს იბრძვიან **კიდევ იმ ფსევდო - დემოკრატიულ რუსულ რეჟიმის აღსადგენად ,რომელმაც პირველ დღიდან თავის გაჩენის პირველი მტრული აქტი, საქართველოს მიმართ მან ჩაიდინა.** სანამ უნდა გრძელდებოდეს ეს ეროვნული სკანდალი, ეროვნულ კრიმამდე მიყვანილი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აფერხებს, საქართველოს სახელს უტეხს და უცხოელთა თვალში რუსეთის ვასალობისათვის ბრძოლას გვაბრალებენ?

ვ. შუბლაძე

ბოლშევიზმი — რუსული ხიშტის ყვავილია

ბოლშევიზმი სძლებს მხოლოდ იქ სადაც მეფობს რუსული ხიშტი. ოქტომბრის რევოლიუციამ გააბატონა ბოლშევიზმი ეთნიურ რუსეთში. რუსის ერს არ აღმოუჩენია მისთვის რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა (ვინაიდან „თეთრ“ ღენერლების ბრძოლა იყო მხოლოდ, გარდასრულ რეჟიმის სამხედრო და საადმინისტრაციო აპარატის, თავდაცვის-რეაქცია და არა სრული ეროვნული მოძრაობა).

სამაგიეროდ, **ყველა** არაერუს ერებმა — მიუხედავად იმ რუსიფიკატორულ საადმინისტრაციო ძარღვებისა, რომელიც ასი წლის ოკუპაციამ გაუყარა და გაკვანძა მათ სხეულში,— რამდენიმე თვე იკმარეს რუსეთისაგან ჩამოშორების მისაღწევად, და დამოუკიდებლობის აღსადგენად. თანაც აღსანიშნავია რომ **არც ერთს** ამ სახელმწიფოთაგანს არ აეკრა ბოლშევიზმის სენი, და მათ დემოკრატიულ არჩევნებში 5%ზედ მეტი არასდროს აღმოჩენილა კომუნისტური ხმები...

1919 წლიდან — 1944 წლამდე რუსეთმა ცეცხლით და მახვილით „დაიბრუნა“ ჩამოშორებული ერები, და ამათ დაუმატა კიდევ სატელიტების და შორეულ აღმოსავლეთში სხვა ტერიტორიები. ყველა ამ ქვეყნებს ბოლშევიზმი და მონობა თავს მოახვია რუსის ჯარმა! ყველა ამ ქვეყნებში ბოლშევიზმი სძლებს სამხედრო რუსულ წნეხვის წყალობით. მხოლოდ გარესატელიტები რომ მოვიხსენოთ (1956 წლ. ცნობების თანახმად) — იქ რუსეთი წარმოდგენილია: გერმანიაში 9 დივიზიით და 11 ოდე საავიაციო ბაზით; ჩეხეთ-სლოვაკიაში — 1 დ. და 12 ს. ბაზით; პოლონეთში— 4 დ. და 7 ს. ბაზით; ჰუნგრეთში — 3 დ. და 3 ს. ბაზით; რუმინეთში — 2 დ. და 1 ს. ბაზით; ბულგარიაში — 2 დ. და 3 ს. ბაზით. (გარდა იმ რუსულ პოლიციურ ძალებისა, და ადგილობრივ მილიციისა, რომლის აღრიცხვა, ვარაუდათაც კი, ძნელია). ამ პირობების მიუხედავად რუსეთმა ვერ შესძლო ვერც ქართველი ერის 35 წლის მანძილზედ, ვერც 12 წლის წინეთ დაპყრობილ ერების, გაბოლშევიკება და დამონება.

სტალინის სიკვდილმა ღრმა ბზარი გაავლო რუსეთის ძლიერებას. საუბედუროდ ეს არ იყო სათანადოთ გაგებული და გამოყენებული დასავლეთის მიერ. ჩაგრულ ერებმა-კი იგრძნეს, თუ რა პერსპექტივებს უხსნიდა მათ ეს დაწყებული რღვევის პროცესი. ყველა მათი ძალები დაიჭიმა ეროვნულ-ბრძოლის იდეოლოგიის ხაზით. ბერლინმა-ტფილისმა-პოზნანმა და ბუდაპეშტმა აღნიშნეს ამ ხაზის ვითარების ეტაპები — სამართლიანად შენიშნავს **ნიუ-იორკ ტ.**-სი.

ორჯერ იჭექა მარტში, და მაისში ტფილისმა! მას ბანი მისცა ბაქომ და ერევანმა. ივნისში იქუხა პოზნანმა! ოქტომბერში იგრიალა ვარშავამ და ეხლა მიწის ძვრა ხდება ჰუნგრეთში! ყველგან გაისმის ერთი კიჟინი: „რუსებო - გარეთ!“

ბოლშევიზმის ხსენება ყველას მიაჩნია ზედმეტად — ვინაიდან ყოველ ჩაგრულ ერისთვის ჭეშმარიტებაა რომ **ბოლშევიზმი არის რუსულ იმპერიალიზმის თანამედროვე სახეობა** — და საკმარისია რუსეთის დამარცხება რომ ეს სენი სამუდამოდ აღმოიფხვრას.

მძიმეა მსხვერპლი რომელსაც დღეს იღებენ პოლონელები და ჰუნგრელები. გვაგონდება 1924 წლის საქართველოს გმირობა, და ცეცხლი ეკიდება ჩვენს გულს. იმედი იღვიძებს. ამ ერების და ჩვენი ერის ბედი, ერთ და იმავე ბორკილებშია ჩაჭედილი. დაჭროლა თავისუფლების ქარმა და ის ქარიშხლად იქცევა თუ კი დასავლეთმა მას ცოტა მაინც დახმარება გაუწია... იშლებიან ეროვნული დროშები რუსეთისგან ჩაგრულ-ტანჯულ ერებისა!

აღფრთოვანებით ვესალმებით მათ და თავს ვიხრით იმ ურიცხვ გმირების წინაშე, რომლებიც დღეს თავგანწირულად თავს სდებენ დამოუკიდებლობის იდეალისთვის.

ლ. ზურაბიშვილი

† ალექსანდრე ცომაია

31 ენკენისთვეს ნიუიორკში უეცრად გარდაიცვალა ჩვენი დაუვიწყარი მეგობარი და ქართულ საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ენერგიით აღჭურვილი საშა ცომაია. ემიგრაციაში ჩამოსვლის პირველ დღიდანვე ის აქტიურ ბრძოლის ფერხულში ებმება. მისი მთავარი იარაღი პრესა და კალამი იყო, ის თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოს გუშაგ“ში. იყო ერთ ხელმძღვანელთაგანი და მუდმივი თანამშრომელი „ახალი ევერია“სი და უკანასკნელ ხანებში კი ნიუორკში „ქართული აზრი“ს რედაქტორი. მისმა ასე უდროო დაკარგვამ დიდი მწუხარება და გულის ტკივილი გამოიწვია ეროვნულ-პატრიოტულ მებრძოლთა რიგებში, რომელსაც დაუღალავად სამშობლოს სამსხვერპლოზედ ყველაფერი მიჰქონდა რაც კი მას გააჩნდა — ენერგია, ცოდნა და პირადი ბედნიერება. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. მწუხარებით, რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მის მეუღლეს, შვილს და დამწუხრებულ მეგობარ-ნათესავებს.

სალიტერატურო საღამო

18 ნოემბერს, კათოლიკურ ინსტიტუტის დარბაზში ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებამ, პ-ნ ვ. ყიფიანის თავმჯდომარეობით, გაბ[illegible]ა „საქართველოში და უცხოეთში გარდაცვლილ მწერალთა“ მოსახსენებლად სალიტერატურო ეროვნული კრება. კრებას ესწრებოდა ხალხი დაესწრო.

სამგლოვიარო ფურცელი

18 ნოემბერს ქართულ მართლ. ეკლესიაში გადახდილ იქმნა უნგრეთის ეროვნულ აჯანყებაში დახოცილთათვის პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ უნგრელ ლტოლვილთა კომიტეტის და უნგრელ მხედართა ორგანიზაციის დელეგატები, თავიანთ ეროვნულ დროშებით. ეკლესიაში —ქართველებში — საგანგებოთ შეგროებული შემოწირულება 20.045 ფრ. იქვე გადაეცა უნგრელების წარმომადგენლებს.

გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ 27 მარიამობისთვეს დაიღუპა ახალგაზრდა, ყოვლად უწყინარი და მშვიდი, საზოგადოების სასარგებლო და ჩუმი მებრძოლი ინჟინერი პეტრე (პეტიკო) ჯაფარიძე. მისი უდროო სიკვდილით დამწუხრებულ ოჯახს და მეგობრებს რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს.

ისპ. მაროკოში გარდაიცვალა ქ-ნი ტასო ბერიძისა — რედაქცია გულითად თანაგრძნობას უცხადებს მის დამწუხრებულ ოჯახს.

„აბონდანში“ უკანასკნელ ხანებში უეცრად გარდაიცვალა თეოფილე მუხაშარია. თანაგრძნობას ვუცხადებთ მის მეგობრებს და ნაცნობებს.

რა შეიცვალა!

(დასაწყისი იხ. პირველ გვ.)

ვარშავაში შეიქმნა „სამხედრო პაქტი“ ო. ტ.ა.ნ.“-ის წინააღმდეგ და ყველამ, ეტყობა, ბუნებრივად ჩასთვალა, რომ რვა სატელიტს ელაპარაკებოდა ერთი რუსეთი, თექვსმეტი „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის სახელით და მაგიერ, რომელნიც დე-ფაქტო კოლონიებად ჰყავს რუსეთს გადაქცეული.

უკანასკნელ დროს, რუსეთის საგარეო მინისტრი შეპილოვი დემონსტრაციულად დაესწრო და ეგვიპტეს მიულოცა **ინგლისის** „კოლონიალური“ ჯარის წასვლა; და მას აქეთ ენა არ დაუყენებია საფრანგეთის იმპერიალიზმის გმობაზე მაროკო - ალჟირ -ტუნისში და სუეცის არხის კრიზისში ხომ უტიფრად ერევიან საქმითაც, დახმარებითაც, იარაღით და აგენტების გაგზავნითაც. და არავინ, სრულებით არავინ შეუბრუნა სიტყვაც კი, რომ უდიდესი და გაუგონარი სივერაგის იმპერიალისტი და კოლონიალისტი თვითონ რუსეთი ბრძანდება. რაშია საქმე, რომ ასეთი **დამბლა** დაცემულია დასავლეთი?

მართალია, დასავლეთს ბევრი ცოდვა მიუძღვის აღმოსავლეთის მიმართ, რაც ადვილად გამოსასწორებელია, მაგრამ რა შუაშია რუსეთი, რომელსაც დასავლეთი მუდამ დახმარებას უწევდა და უკანასკნელ ომში განადგურებას გადაარჩინა? ეს უმადური რუსეთი კი, გასუქებული **თხასავით, მგელს** უპირებს შეჭმას: არა მარტო ჰეგემონიას ჩემულობს ქვეყნიერებაზედ, არამედ პირდაპირი დაპყრობითაც ემუქრება, ჯერ-ჯერობით კიდევ თავისუფალ მსოფლიოს.

შეიძლება, რუსეთის მხრივ, ეს ბუნებრივი ბიოლოგიური ზრდაც იყოს, მაგრამ ზვავი და წყალდიდობაც ბუნებრივი მოვლენებია და გასაშტერებელი წინდაუხედაობით, ევროპა და ამერიკა ამ ზვავის საშიშროებას თითქო ვერ ამჩნევს და მოძველებულ „კომუნიზმს“ ებრძვის, მოძველებული საშუალებებით.

კასანდრებისა არავისა სჯერა ხოლმე, მაგრამ- როგორც ხრუშჩოვებს, შეპილოვებსაც უნდა დაუჯეროთ. **რ. გაბაშვილი**

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა...

რუსეთის მოსახლეობა დაპყრობილ ქვეყნებით დღეს 353 მილიონ სულს უდრს. რიცხვობრივად მსოფლიოში, ყველაზედ ძლიერი ჯარი მას ჰყავს, რომელსაც დღეს ემატება ევროპის შვიდ „სატელიტ“ ქვეყნის ძალები. მაგრამ რუსეთის ჯარისკაცთა რაოდენობა მარტო ამით არ ამოიწურება. 600 მილიონი ჩინეთი მისი მოკავშირეა, და მოსკოვს შეუძლია მაქსიმალურად გამოიყენოს. ამ მხრივ საგულისხმოა, შარშან ორ იანვარს, ვოროშილოვის ენერგიული განცხადება, დაბეჭდილი „პრავდაში“ და გადმოცემული რადიოთი — მსოფლიოს გასაფრთხილებლად — რომ კომუნისტური ჩინეთის ძლიერი სამხედრო მასსა საბჭოთა ბლოკთანაა, და მზათაა დაუპირდაპირდეს კაპიტალისტურ ომის წამომწყებ აგრესიულ ამერიკას და მის ამყოლ ევროპას-ო. კომუნისტურ ბლოკის განკარგულებაშია 950 მილიონი ადამიანი, რომელიც ჯარის კაცთა დაუშრეტელი წყაროა. მაგრამ მოსკოვის სატრაპები რა თქმა უნდა ამ გიგანტიურ ძალთა შეიარაღებით არ კმაყოფილდებიან. დღეს ის უპირდაპირდება ორ ბუმბერაზ სახელმწიფოს — ამერიკა და ინგლისს — ზღვათა და ოკეანეთა მფლობელთ. მათ, რომ ქედი მოახრევინოს, ამისათვის არაა საკმარისი მარტო ტანკები და ავიონები, არამედ **უძლიერესი სამხედრო ფლოტი,** წყალქვეშა ნავები და სხვა, რითაც ანგლო-საქსონურ საზღვაო ძლიერებას თუ არ გადააჭარბებს, მას მაინც უნდა უდრიდეს. მოსკოვმა დღეს კარგათ იცის, რომ მომავალ ომის ბედს მარტო ატომიური ბომბები კი არ გადასწყვეტენ, არამედ არა ნაკლებ როლს, სამხედრო საზღვაო ფლოტი ითამაშებს.

რუსეთის ფლოტს საფუძველი პეტრე დიდმა ჩაუყარა, რომელიც უკანასკნელ ომამდე კუს ნაბიჯით ვითარდებოდა. დღემდე მას სათავეში ადმირალი კუზნეცოვი უდგა. ის წელს გადაყენებული იქმნა, ინგლისის საზღვაო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობების შემდეგ. ინგლისის კონტრ-დაზვერვის ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი არევ დარევა და ცვლილებები გამოიწვია რუსეთის საზ. სამინისტოში:

გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით რუსეთის ფლოტი იმდენად გაძლიერებულა, რომ მოკლე ხანში, თურმე მეტოქეობის გაწევა შეუძლია ერთად აღებულ ინგლის-ამერიკის ფლოტისათვის. ამ დაუჯერებელ ამბავმა, ინგლისის საზღვაო სამინისტრომ რომ გამოაქვეყნა, ინგლისელებზედ თავზარ დამცემი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან სპეციალისტების აზრით, განსაკუთრებით შეტევითი ხასიათი ექნება, რომ ევროპა, ამერიკა, ავსტრალია და ინგლისს შორის საზღვაო სანაოსნო გზები გადუჭრას.

უკანასკნელ ომში, საბჭოთა ფლოტი, იმდენად სუსტი და უილაჯო აღმოჩნდა, რომ თავი არამთუ სადმე ისახელა, არამედ ყირიმის დაცვაშიც არ გამოდგა. დღეს რასაც ინგლისელები განცვიფრებაში მოჰყავს, არის სწორეთ 45 დან დაწყებული ამ დარგში რუსების მიერ არაჩვეულებრივი სასწრაფო აღმშენებლობა. ბრიტანეთის საზღვაო სამინისტროს ცნობით დღეს რუსეთს უნდა ჰყავდეს 700 წყალქვეშა ნავი, 70 კრეისერი, 250 კონტრნაღმოსანი, 1000 მეტი ნაღმოსანი გემი, 400 ზედ მეტი საესკორტო ნავი და სხვა. გარდა ამის ა ყოველწლიურად უშვებენ 6 კრეისერს და 60 წყალქვეშა ნავს გარდა აუარებელ მეორე ხარისხოვან დამხმარე ერთეულებისა, რომელნიც ულტრა მოდერნულია. ინგლისის საზ. სამ. ცნობით, ცხრა წლის განმავლობაში რუსებს დაუხარჯავთ ასტრონომიული თანხა ფლოტისათვის — 12 მილიარდი გირვანქა, მაშინ როდესაც ინგლისის საზღვაო ბიუჯეტი 51 წლამდე 200 მილიონს უდრიდა. 55 დან დაწყებული კი 360 მილ. გირვანქას — განსხვავება მართლაც ასტრონომიულია. რუსეთის საზღვაო ეფექტივი ამ ათი წლის განმავლობაში 900.000 აიყვანეს, მაშინ, როდესაც ინგლისის 150 ათასს უდრის ე.ი. 6 ჯერ ნაკლებს. აშკარაა, რუსეთი, სლავიანურ „მესიანიზმით“ შეპყრობილი და უკანასკნელ ომში გამარჯვებით გამხნევებული, ყოველ მხრივ გაშმაგებით, მსოფლიო ჰეგემონიისთვის ემზადება.

რუსეთს, უკვე ალბანეთის სანაპიროებზედ დიდ მნიშვნელოვანი სამხედრო სიმაგრეები გაუშენებია, რომელიც შეიცავს საარტილერიო გამაგრებულ პოზიციებს და მოდერნულ ბაზებს — ავიონებისა და წყალქვეშა ნავებისათვის. ახალ გაშენებულ ალბანეთის ბაზებიდან, უკვე (ოგორც 16 ოქტომბრის გაზეთები იუწყებიან — ხმელთაშუა ზღვაში ოცი წყალქვეშა ნავი და ნავარდობს. რუსეთი ხმელთა შუა ზღვაში „მშვიდობიანათ“ შეიჭრა, რომელიც წინათ „ნორმალურ“ მდგომარეობაში ომის პრეცენდენტი იქმნებოდა. გამაგრებული აზიის კონტინენტზედ, დღეს მისი თვალყური და სუნთქვა აფრიკის კონტინენტისკენაა მიპყრობილი. ამით აიხსნება დღევანდელი მისი აქტიური დიპლომატიური და არა დიპლომატიური მოქმედება ეგვიპტის „სასარგებლოდ“ და ჩრდილოეთ აფრიკაში. ამით იყო გამოწვეული 17 ოქტომბერს პიერ ანდრეს განცხადება პარლამენტში: „ვაი თუ საბჭოებმა ხელი დაადონ ჩრდილოეთ აფრიკას — მაშინ ხომ გარშემორტყმული ვიქმნებით მათ მიერ?“. აქ საეჭვო არაფერია. მოსკოვი ამაზედ მუშაობს.

სპეციალისტების აზრით ინგლის - ამერიკელების პერსპექტივა, სამწუხაროზედ სამწუხარო იქმნება იმ შემთხვევაში თუ ენერგიული ზომები არ მიიღეს და კოლოსალური ხარჯები არ გასწიეს, რომ რუსეთის ფლოტს უკან არ ჩამორჩნენ. ბუნებრივია, რომ ამ მეზღვაურ ხალხში, რუსეთის ფლოტის ასეთი გიგანტიური და სწრაფი ზრდა შიშს იწვევდეს. რადგან რუსეთის ფლოტის დანიშნულება წმინდა აგრესიულია. „რუსეთის ობიექტია — სწერდა **ევენინგ ნეუს** — მოახდინოს იმის რეალიზაცია, რაც ვერ შესძლო გერმანიის საზღვაო ფლოტმა: გადაჭრას სანაოსნო საკომუნიკაციო მიმოსვლის და ინგლისის დიდსაზღვაო გზათა, რომელიც თავის კომენვალტით თალასოკრატიულ (საზღვაო) იმპერიას შეადგენს. თუ საკომუნიკაციო გზები მოჭრილი იქმნება, სავაჭრო ფლოტი ჩაძირული, ინგლისი დაიმშევა და შიმშილი შეიძლება წინამორბედი გახდეს იარაღის დაყრისო“.

მოსკოვის სატრაპთა გეგმა ნათელია: დაბომბვა ატომიური ბომბებით ინგლის-ამერიკის და დასავლეთ ევროპისა და იმავე დროს საზღვო საკომუნიკაციო გზების გადაჭრა, ამერიკასა და ინგლისს შორის. ასე უნდათ დამშეულ ინგლისს — რომელსაც ბომბების ბუდეთ აქცევენ, ცეცხლის ალში გახვეული, ხალხის მორალზედ მომაკვდინებელ გავლენას იქონიებს — იარაღი დაეყრევინონ.

ევროპა? ევროპის ბედი ინგლისის კაპიტულიაციამდე ხომ უფრო ადრე გადაწყვეტილი იქმნება! წარმოიდგინეთ ეს ყველაზედ საშინელი ურდოები — რუსულ-ჩინურ-მონგოლური, — შეიარაღებული მოდერნული იარაღით და მხეცურ ინსტიქტით, ევროპას, რომ შემოესიოს, ხომ სულ გადახრავს და გაანადგურებს! მთელი ევროპის დამზადებული თუ დაუმზადებელი საქონელი, საწარმოვო თუ უწარმოვო იარაღი, მეცნიერნი და შეიძლება უმეცარნიც, პირუტყვნი და პირმეტყველნიც, რუსეთის უდაბნოებისა, ციმბირისა და ტაიგის გასაშენებლად, მოგზაურთა და საქონლის ვაგონებით გაზიდულ იქმნებიან რუსეთის გაუშენებელ და მყინვარე ადგილებში. ევროპიელებს ეს ვერ წარმოუდგენიათ, ეს ვერ შეუგნიათ და შეუგრძვნიათ, რადგან სხვის ტკივილებს ვერა გრძნობენ და საუბედუროთ, როცა თვითონ იგრძნობენ ამ საშინელ ტკივილებს — გვიანღა იქმნება. აგრეთვე გვიანღა იქნება ჩვენთვისაც, რადგან დაცემული და დამონებული ევროპა უსათუოთ ფატალური იქმნება, დაპყრობილ პატარა ერთათვის, რადგან რუსეთი, ბატონი და პატრონი, გადაჭიმული ევროპა და აზიის ორ კონტინენტზედ, მსოფლიოს ჰეგემონი, ზღვათა და ოკეანეებით ირგვლივ შემორტყმულს ვინღა დააკავებს! **რუსულ „მესიანიზმი“ს** პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარება სწორეთ აქედან დაიწყება ისე როგორც ინგუშებს, ყირიმის თათრებს და მოლდაველებს (2 მილიონი სული), სლავიანური ტალღა უპირველეს ყოვლისა შთანთქავს იმ პატარა ერებს, რომლებიც დღეს მის საზღვრებში **არიან მოქცეულნი.** ეთნიურ შენაცვლებასა და ველიკორუსულ ნაციონალიზმს საზღვარი აღარ ექმნება. საშინელება ის არის, **რომ თუ დღემდე ერთა** თავისუფლების მოსპობითა და დაპყრობით კმაყოფილდებოდა **რუსეთი, უკანასკნ**ელ ომის შემდეგ გამარჯვებული და გათამამებული ამ ერებს სამუდამოდ სპობენ და ჰკლავენ. კიდევ უფრო საშინელება ის არის, რომ კაცობრიობის სინიდისი ამას არ აუღელვებია — **არსაიდან არც ერთი პროტესტი** არც ერთი დემონსტრაცია, თითქოს

საბჭოთა კონსტიტუცია და საბჭოთა სინამდვილე

მსოფლიოში არ არსებობს ისეთი რთული და გაუგებარი, წინააღმდეგობებით სავსე და ულოლიკო, თანაც სიყალბითა და ცბიერობით დატვირთული, მასთან ერთად სახელმწიფოს - წყობა - მართველობასთან და თვით რეალურ ცხოვრებასთან სრულიად შეუფერებელი და დაუმსგავსებელი კონსტიტუცია, როგორიც რუსებს დაუტოვა, მათ მეთაურთაგან დღეს უარყოფილმა და გაბახებულმა, სტალინმა.

მსოფლიოს ერთ მეექვსედზედ, პატარა ერთა ნანგრევებზედ „დაარსებული“ რუსეთის იმპერია დღეს, ს.ს.რ.კ.-ის სახელწოდებას ატარებს რომელიც ვითომდა „სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს“ გულისხმობს. ასეთ გაგებას ხელს უწყობს ის ფაქტიური მდგომარეობა, რომ ეს „კავშირი“ შექმნილი არის რუსების მიერ ძალადობით; რუსეთის ძველი იმპერიის დაშლითგან წარმოშობილ ეროვნული სუვერენული სახელმწიფოების ხელახლად დაპყრობით და რუსეთის ძველს საზღვრებში მათი მომწყვდევით, ამ ნაძალადევად შექმნილი სახელმწიფოს სახელწოდების მოკლედ აღნიშნულ ასოთა ანსამბლში ს. ს. რ.კ. „რ“ უფრო რუსეთის ცნებას გამოხატავს, ვინემ რესპუბლიკის-ას, ვინაიდან არავითარი რესპუბლიკანური ამ სახელმწიფოს წყობასა და მართვა - გამგებლობაში არ არსებობს და რუსული სულისა და იმპერიალიზმის უმძიმესი დაღი აზის მთელი საბჭოთა ქვეყნის ყოფა - ცხოვრების ყოველ, საშინაო თუ საგარეო, დარგს.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირი დაარსებულია, თანასწორ - უფლებიან საბჭოთა სოციაალისტური რესპუბლიკების მიერ **ნებაყოფლობით** გაერთიანების საფუძველზედ.“

ასე უსირცხვილოდ ღაღადებს მთელი მსოფლიოს წინაშე 1947 წელს ს.ს.ს.რ.-ის უმაღლესი საბჭოს მიერ დამატებებითა და შესწორებებით გამოცემული წითელ -ყდიანი კონსტიტუციის მე-13-ე მუხლი.

კონსტიტუციის მე-14-ე მუხლი დაწვრილებით აღნიშნავს ყველა იმ სახელმწიფო ცხოვრების დარგებს, რომელთა მოწყობა და მართვა - გამგებლობა, უშუალოდ ეკუთვნის ს.ს.ს.რ.-ის უმაღლეს ორგანოებს და ყ ვ ე ლ ა იმ საშინაო თუ საგარეო ხასიათის საქმიანობა, რომელშიაც ხორციელდება და სჩანს თავისუფალი სახელმწიფოს სუვერენობა. ცხოვრების ყოველი ამ დარგის განმგებელი - მმართველი და ძირითად კანონმდებელი ს.ს.ს.რ.-ის უმაღლესი ორგანოები და სამინისტროებია. მათ კანონმდებლობას და კანონთა ინტერპრეტაციას თუ აღსრულებას ემორჩილება „მოკავშირე“ რესპუბლიკების ყოფა - ცხოვრების მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო დარგი.

კონსტიტუციის მე-15-ე მუხლი: „მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი შეზღუდულია **მხოლოთ** კონსტიტუციის მე-14-ე მუხლში ნაჩვენებ ფარგლებში. მათ გარეთ ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა ანხორციელებს დამოუკიდებლად სახელმწიფო ხელისუფლებას. ს.ს.ს.რ. იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს.“ ო

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. იშვიათად თუ რასმეს ასე მოხდენილად უდგება ეს ნათქვამი.

საბჭოთა რუსეთმა ერებს წაართვა სახელმწიფოებრივი არსებობა, ხელი დაადო მათი ყოფა - ცხოვრების საგარეო თუ საშინაო, მატერიალურსა თუ სულიერ დარგებს. უცხო — რუსულ კანონმდებლობის არტახებით შეუკრა ხელ - ფეხი, დაუბა ენა თავისუფალ ერებს და უსირცხვილოდვე გაიძახის და ისიც კონსტიტუციის ფურცლებზედ: ს.ს.ს.რ.-ი იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებსო.

მე-17-ე მუხლი: „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება უფლება ს.ს.ს.რ.-დან თავისუფალი გასვლისა“ო.

მოდით და ესეც დაიჯერეთ. ძველი, ერების საპყრობილე რუსეთის ბჭე - კარების გატეხის შემდეგ ამ ციხიდან გაქცეულ და განთავისუფლებული ერები, ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს, კულავ რუსულ ციხეში ჩაჰკეტეს და დღეს იმავე კონსტიტუციის ფურცლებზედ ცინიკურად ამბობენ „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება უფლება ს.ს.ს.რ.-დან თავისუფალი გასვლისა“ო.

ამ 35 წლის მანძილზედ ქართველთა მიერ, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებებში დაღვრილი ზღვა სისხლით განა არ გამოითქვა საქვეყნოთ და გაბედულად ქართველ ხალხის ნება - სურვილი და გადაწყვეტილება „საბჭოთა კავშირი“-დან გამოსვლისა და სუვერენული სახელმწიფოს აღდგენისა? საბჭოთა რუსეთის მეთაურებმა იქნებ გვითხრან თუ სხვა რა საშუალება და ფორმა არსებობს ერისა და ხალხის ნება-სურვილის გამოთქმისა, იმ ქვეყანაში სადაც აზრის და სიტყვის თავისუფლება სიკვდილით ისჯება. ხალხის გარეთ, ვინ, ან რომელმა ორგანომ უნდა დაადგინოს ს.ს.ს.რ.-დან გამოსვლა? რუსეთის ტერორით თავზედ ძალად მოხვეულმა „საქართველოს უმაღლესმა საბჭომ“, რუსეთის ტიკინა „საქართველოს მთავრობამ“ თუ „კომუნისტური პარტიის ცეკამ“?

მე-18-ე მუხლი: „მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიის — სივრცის შეცვლა დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე“ო.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციის პირველ წელსვე, როცა ჯერ კიდევ საბოლოოდ შედგენილი არ იყო საქართველოს პირველი მთავრობა, ჩვენს მეზობლებს დაუთმო საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთი მესამედი, ქართველი ხალხის დაუკითხავად.

მე-18-ე მუხ.-ბ-ე. „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს უცხო სახელმწიფოებთან უშუალოდ კავშირში შესვლის, მათთან შეთანხმების დადებისა და დიპლომატიური და საკონსულო წარმომდგენლების გაცვლისა“ო.

ს.ს.ს.რ.-ში თხუთმეტი რესპუბლიკაა, და იქნებ ორიოდე მაინც დაგვისახელონ, რომელთაც ამ უფლებით სარგებლობის ნებართვა ჰქონდეთ უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში იყვნენ, მასთან რაიმე ხასიათის ხელშეკრულებას სდებდნენ, და დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები ჰყავდეთ უცხო ქვეყნებში?

მე-18- მუხ.-ც-ე. „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკასა ჰყავს თავისი რესპუბლიკანური ჯარის ერთეულები“ო.

საბჭოთა კონსტიტუციის ეს მუხლი ოდნავად შეეფერებოდა სინამდვილეს დაახლოებით 1930 წლამდე. დამპყრობელმა რუსეთმა პირველ ხანებში, საბჭოთა წყობილების სისტემის თანახმად, გარდაქმნა და დასტოვა ნაციონალური და ტერიტორიალური ჯარის ერთეულები. მალე ის დარწმუნდა მათდამი უნდობლობაში და ის სამხედრო ნაწილები სრულიად გააუქმა. დღეს არსებობს ერთი და მთლიანი ს.ს.ს.რ.-ის ჯარი და მასში შერეული და გათქვეფილი — ხუთმეტი რესპუბლიკიდან ჯარში გაწვეულები.

მე-31-ე მუხლი: ს.ს.ს.რ.-ის უმაღლესი საბჭო ანხორციელებს ყველა უფლებებს, რომელნიც მინიჭებული აქვს ამ კონსტიტუციის მე-14-ე მუხლის ძალით საბჭ. სოც. რესპუბლიკათა კავშირს“ო.

ხსენებული მე-14-ე მუხლის ძალით, როგორც ვიცით, ყოველივე უფლება, ერისა და მისი სახელმწიფოს ყოფა - ცხოვრებას რომ შეეხება და მისი სუვერენობისა და თავისუფლების ფრთებ ქვეშ უნდა იყოს, წართმეული აქვს დაპყრობილ ერებს და მითვისებული ს.ს.ს.რ.-ის უმაღ. ორგანოებს.

მე-33-ე მუხლი: „ს.ს.ს.რ.-ის კანონმდებლობითი ხელისუფლება ხორციელდება **განსაკუთრებით** (ხაზი ჩვენია) ს.ს.ს.რ.-ის უმაღლესი საბჭოს მიერ“.

მე-67-ე მუხლი: „ს.ს.ს.რ.-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა აღსრულება **სავალდებულოა** ს.ს.ს.რ.-ის მთელი ტერიტორიის სივრცეზედ“ო.

ზემოდ მოყვანილი ს.ს.ს.რ.-ის კონსტიტუციის მუხლებიდან მთლადა სჩანს რუსეთის მიერ დაპყრობილ და საბჭოთა სისტემის „ობობის ქსელში“ გაბმული ავტონომიური და რესპუბლიკანური მართველობის მდგომარეობა, რომელიც ველიკორუსეთის ნაციონალურ - შოვინისტურია.

ის მინიმალური უფლებებიც კი, რომელნიც ვითომ მათ საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია ანიჭებთ, არც ერთი მუხლი არ არის სინამდვილეში განხორციელებული. უთუოდ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რუსეთის მიერ დაპყრობილ 14 ერის კომუნისტური პარტიების უკმაყოფილება მოსკოვისადმი მიმართული, რომლის აშკარა და სპონტანიური აღმოხეთქა ამა წლის 9 მარტს მოხდა საქართველოს დედაქალაქში და რომელიც უთუოდ მის ლოლიკურ ბოლომდე უნდა მივიდეს. ამ კონსტიტუციის განხილვა - დაფასებას ჩვენ ალბად შემდეგშიაც დაუბრუნდებით. ამ წერილში მისი მთავარი სიმახინჯისა და სიყალბის აღნიშვნაც საკმარისია. მთელი მსოფლიო იცნობს ამ კონსტიტუციას, რომელიც აშკარად სტყუის და ცრუობს. მიუხედავად ამისა დასავლეთის სახელმწიფოების დიდი მეთაურნი ვით სწორი სწორს ელაპარაკებიან, დიპლომატიურ ურთიერთობაში არიან და ფასსა სდებენ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლების სიტყვას და ხელმოწერას, რომლის თვით კონსტიტუციაც კი ყალბი და მატყუარაა.

ელ. პატარიძე

ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ ცენტრის საქმიანობიდან...

22 მარტს, პრესისა და ყველა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს დაეგზავნა საინფორმაციო ცნობის ფურცელი „თბილისის და საქართველოს, მარტის პოლიტ. დემონსტრაციების შესახებ.“ ეს ინიციატივა იყო დროული და სწრაფი. ის მთლიანად გამოქვეყნებულ იქმნა **ჟურნალ დე ჟენევ-ში, ნუვო ჟურ-ში, ნასიონ ბელჟ, ნასიონ რუმანი** და სხვა გაზეთებში.

14 აპრილს სტრასბურგში შეკრებილ „ევროპის ჩაგრულ ერთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს ერ. ცენტრმა გაუგზავნა მილოცვის დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია: „ჩვენ უნდა გაგახსენოთ, რომ საქართველო და კავკასია, მოწინავე ფაქტორებია ევროპის განთავისუფლების და განმტკიცებისა. მოგმართავთ წინადადებით: საქართველო როგორც სუვერენული სახელმწიფო წარმოდგენილ იყოს თქვენს მიერ დაწესებულებაში და სხვა. რომელსაც კონგრესი მხურვალე ტაშის ცემით მიეგება.

15 მაისს, „ევროპის თავისუფლს შოტლანდიურ ლიგას“ გაეგზავნა მემორანდუმი საქართველოს საკითხის შესახებ. ცენტრმა მიიღო მათ მიერ ორი საქმიანი პასუხი და ცნობა, რომ ერ. პოლიტ. ცენტრის მიერ აღებული ხაზი მას მიაჩნია სწორად და მიზან-შეწონილად.

აპრილ-მაისში, მთელი ემიგრაციის გაერთიანების მიზნით — სოც-ფედერალისტების ინიციატივით მოწვეულ თათბირში — ყველა პოლიტ. პარტ. და ორგანიზაციებმა მიიღეს მონაწილეობა. ე.წ. არსენიძე-ცნიცაძის ჯგუფის წარმომადგენლის სისტემატიური ოპოზიციის შემდეგ სოც. დემოკრატებმა დასტოვეს კრება. „შემათანხმებელ ბიურომ“ გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც განმეორებით ხაზგასმულია საქართველოს მარტის გამოსვლების ნამდვილი მნიშვნელობა.

21 მაისს ბ-ნ ზურაბიშვილმა, ლონდონში მყოფ ჩვენი ცენტრის თანამგრძნობთა კრებაზედ წაიკითხა მოხსენება: „ქართულ ემიგრაციის პოლიტიკური გზები და პერსპექტივა.“ ცენტრის გაწეული მუშაობის მიმოხილვის შემდეგ, ცენტრის გეზი ერთხმათ იქმნა დადადასტურებული.

ნოემბერში ცენტრმა, უნგრეთის ეროვნულ კომიტეტს გაუგზავნა მხურვალე თანაგრძნობის მიმართვა.

ს ა შ ი ნ ა ო დ ა ს ა გ ა რ ე ო

გასაოცარი და თავშეუდებელი შეუთავსებლობა ხდება დღეს, მსოფლიო ამბებსა და ქართული ემიგრაციის შორის. ერთმა, პირველთაგან დაპყრობილმა მსხვერპლმა რუსულ ბოლშევიზმისა, საქართველომ პირველთაგანმავე ააფრიალა თავისუფლების დროშა, ამა წლის მარტსა და მაისში გამოსვლებით; ქრონოლოგიურად მას მოჰყვა ადერბეიჯანსა, უკრაინასა, პოზნან - პოლონეთსა და ბოლოს უნგრეთის განმათავისუფლებელი ამბები და სულისკვეთება. მსოფლიო პოლიტიკის ატმოსფერო დასჭიმა, ამასთანავე, სუეცის კრიზისმა, პალესტინა - ეგვიპტის საომო შეჯახებამ, პოლონეთის ნახევრად განთავისუფლებამ, უნგრეთის რაინდულმა, ამ-წუთსაც ჯერ დაუმარცხებელმა აჯანყებამ და საერთოდ „რკინის ფარდის“ რყევამ. სწორედ ამ დროს, იმის მაგიერ, რომ ქართული ემიგრაციის სულისკვეთება ერთხმივი აღტყინებით ხვდებოდეს ჩვენი მოსისხლე მტრის, — რუსეთის ბოლშევიკურ ყველგან ვერაგობას; — პირიქით, წლობით გამთიშავ ძალების წნეხვას განიცდის.

მიუხედავად ყველასი და ყოველმხრივი ცდისა, — ერთი მცირე, ჯგუფის გავლენით, საერთო გაერთიანება კი არა, საქართველოში მომხდარ ამბებზედ საერთო ენის გამონახვაც ვერ მოხერხდა: ბატ. ნოე ციწინაძეს მომხრეებმა არ მოიდომეს **ადჭოკ** მაინც მიმხრობოდენ მთელს დანარჩენ ემიგრაციას.

დაიშალა ე.წ. „ქართული ეროვნული საბჭო“; ყოველგვარ აზროვნებისა და პოლიტიკური ყნოსვის გარეშე, მხოლოდ პარტიულ დისციპლინას დამორჩილებული ქართველი სოც.-დემოკრატიაღა შერჩა, სამწუხაროდ, ამ უცნაურ „დაწესებულებას“, ინერციითღა სულის მღაფავს.

მთელმა დანარჩენმა პ„ოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა თავი მოიყარეს, „ქართულ სოც.-დემოკრატიისათვის“ თანასწორ ადგილის დატოვებით, მაგრამ მაინც ვერ გამოსთიშეს ბ-ნ ნოე ციწინაძეს „ჯადოს“ (?) პატრიოტული უმრავლესობა სოც.-დემოკრატიისა.

და რაშია ეს ჯადო, რომელიც არ აძლევს საშუალებას ქართული ემიგრაციის გაერთიანებას? — ეს იმ ბოლშევიკური მეთოდის წყალობაა, რომლითაც ყოველი ანტი-დემოკრატიული საშუალებით, პატარა უმცირესობა ძალადობს გააბატონოს ემიგრაციაში ერთ - პარტიობა და ერთი პოლიტიკური ხაზი და იდეოლოგია, — ძველისძველი, დამყაყებული **მენშევიზმისა,** რომლისაგანაც თითქო უნდა გაენთავისუფლებინა „საქართველოს დამოუკიდებლობის“ ამბავსა და ფაქტს.

გიჟი უნდა იყოს ის ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც ანგარიშს არ უწევდეს ყოველგვარი რუსეთის პოლიტიკურ წონას, დეე, ასეთი ჯგუფი თუ პარტიაც არსებობდეს საქართველოში, ბატონი ნოე კალთაში ჩაუვარდეს რუს აბრამოვიჩ - შვარც - ვიშნიაკებს, მაგრამ ვინ მისცა, ან მისცემს უფლებას, მთელი ქართული ემიგრაციის და დამოუკიდებელ საქართველოს სახელით გამოდიოდეს პორტ - პაროლად უცხოეთის და არ არსებულ „რუსეთის დემოკრატიის“ ნიკოლაევსკების წინაშე? რუსეთის „თექვსმეტი რესპუბლიკის“ და ოცდათექვსმეტი ერის სახელით რომ მხოლოდ ბოლშევიზმი მოქმედობს და ლაპარაკობს, — გასაგებია: „ძალა აღმართსა ხნავს“, მაგრამ უძალო სიცრუებით ათრევა ქართველი ერისა და დემოკრატიისა, არა მარტო უჭკუობა, — მავნებლობაც არის.

ძლივს ველირსენით იმ დროს, — ქართველ ერთან ერთად, მთელი მსოფლიოს საზოგადო აზრი, დემოკრატია და სოციალისტები უჯანყდებიან „რკინის ფარდას,“ „ნაციონალ - კომუნისტებიც“კი, და ამ დროს, ბატონი ნოეს წყალობით, დიდი ხნის დასახევსა და პოლიტიკურად უნიათო „რუსულ მენშევიკურ“ ფარდას ქართულ ემიგრაციასა და ერს შუა, ვინ ჩამოაშვებინებს? ერთ ქეციან ცხვარს, — მთელ ფარას რომელი მწყემსი წაახდენინებს?!

ქართველებო, ვიჯმნეთ ეშმაკისაგან!

რაე.

ბ-ნ ჰ. ჰარიმანის მოსალოცი წერილი ნიუორკის კოლონიის თავმჯდომარე ბ-ნ ივანე კობახიძისადმი

ძვირფასო ბ. კობი,

გთხოვთ მიიღოთ მხურვალე სალამი, თქვენ და **ამერიკის გაერთ** შტატებში არსებულ ქართულ ასოციაციამ — დღეს, როცა თქვენ ზეიმით აღნიშნავთ 1918 წლის 26 მაისის წლის თავს, — საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებისა. თქვენი ასოციაცია ემსახურება მსოფლიოში თავისუფლების გამარჯვების საქმეს — ეროვნულ დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, რომ იბრძვის. გისურვებთ დაე მალე დადგეს დღე საქართველოს განთავისუფლქებისა და თქვენმა ე რ მ ა შესძლოს ამით დაუბრუნდეს თავის მაღალ და საამაყო ტრადიციებს.

Directeur responsable: R. Gabachvili.
Impr. de Navarre. 11, rue des Cordelières. Paris

ისინიც საიდუმლო მონაწილენი იყვნენ ამ საზიზღარ შეთქმულებისა. კიდევ მეტი, ამ მკვლელთა წარმომადგენლებს ღიმილითა და პურმარილით ეგებებიან. განა ეს დაცინვა არაა აწ განსვენებულ ერთა და დამონებულ, განსასვენებლად გამზადებულ ერებზედ?

დღეს რუსეთი კბილებამდე შეიარაღებულია. საზღვაო ძლიერების მხრივ ის უკანასკნელთა რიგებში ითვლებოდა დღემდე, დღეს კი ამ დარგში ცალ-ცალკე ამერიკასა და ინგლისსაც გაუსწრო და ხვალ შეიძლება ორივეს ერთად. ინგლისელების შიში უსაფუძვლო არაა. შიში ვერ იხსნის სიკვდილსა... განკითხვის დღე მოახლოვებულია. დღეს კაცობრიობა ასეთ დილემის წინაშე სდგას: ან რუსეთი უნდა დაინგრეს და კაცობრიობამ თავისუფლად **ამოისუნთქოს,** ანდა დასავლეთი მონობაში უნდა ჩავარდეს. დასავლეთის მონობა კი, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა დედამიწის ზურგიდან აღგვასა ნიშნავს.

სილოშვილი